

მცირე და საშუალო საწარმოთა სტატუსის ერთიანი განსაზღვრის მნიშვნელობა და დანიშნულება

კურდღელია ნათია – დოქტორანტი, ეკონომიკის პროგრამა, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
ვაშაკიძე ნათელა – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

The importance and purpose of unifying the status of small and medium enterprises

Kurdghelia Natia – PhD Student, Program of Economics, Kutaisi University, Kutaisi, Georgia

Vashakidze Natela – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and purpose: SMEs, as a constantly evolving, relatively independent and flexible sector, dominate the services sector as well as non-individualized or individualized production sectors. The development and promotion of this sector is important for social reproduction, the foundation of economic growth and social stability in any country.

Despite the long history of development and the efforts of many interested authors, a unified definition of SMEs remains to be formulated. The results of theoretical studies to determine the status of SMEs were not adequately reflected in the legislative acts. In fact, the current status of SMEs varies for different purposes. Status determination is motivated by the promotion, advantages and disadvantages of this business sector. Therefore, it is desirable to have a single, universal, but realistic definition of the status of SMEs.

The purpose of the study is to show the presence and purpose of various sizes and sizes of SMEs in the legislative acts of Georgia, as well as the accompanying misunderstandings and justify the feasibility of a single definition.

Research methodology. The study examines the current state of small and medium enterprises in Georgia, criteria and approaches for determining size categories in Georgia. Comparison, analysis and synthesis methods are used to illustrate the problem.

Results and use: from the study it becomes clear that the content and goals of the current size categories of SMEs are different. According to them, it was advisable to introduce a united front.

Conclusion: the results of the study show that it is necessary to categorize enterprises into a single, universal approach for all purposes or cases, and it should be given a single purpose of use. This will undoubtedly raise the recognition threshold for small and medium-sized enterprises, a larger number of enterprises will receive the status of small businesses, benefits will be provided to those who are interested in opening or expanding their business, and the country's economic development will be reflected.

Key words: SMEs; Size of enterprise category; Acceptance criteria for small and medium-sized businesses.

აბსტრაქტი

შესავალი და მიზანი: მცირე და საშუალო ბიზნესმა, როგორც მუდმივად განვითარებადმა, შედარებით დამოუკიდებელმა და მოქნილმა სექტორმა, უპირატესად, მომსახურების, ასევე, არასერიული თუ ინდივიდუალიზებული წარმოების დარგებში დომინირებული მდგომარეობა დაიმკვიდრა. ამ სექტორის წინსვლა და ხელშეწყობა არის საზოგადოებრივი კვლავწარმოებისთვის აუცილებელი, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის საფუძველი.

ევოლუციის ხანგრძლივი ისტორიისა და მრავალრიცხოვან დაინტერესებულ ავტორთა ძალისხმევით მიუხედავად, მცირე და საშუალო ბიზნესის ერთიანი დეფინიცია ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. თეორიული კვლევების შედეგები მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის განსაზღვრისას საკანონმდებლო აქტებში ადექვატურად არ არის ასახული. ფაქტობრივად კი მცირე და საშუალო ბიზნესის მოქმედი სტატუსის არეალი, სხვადასხვა მიზნებისთვის განსხვავებულია. სტატუსის განსაზღვრას კი ბიზნესის ამ სექტორისთვის

ხელშეწყობის, შეღავათებისა და უპრატესობის მინიჭების მოტივაციის დანიშნულება გააჩნია. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის ერთიანი, უნივერსალური, ამასთან, რეალობის ამსახველი განსაზღვრა არსებობდეს.

კვლევის მიზანია საქართველოს საკანონმდებლო აქტებში მცირე და საშუალო საწარმოების სხვადასხვა ზომითი მოცულობებში წარმოდგენისა და დანიშნულებების არსებობის, აგრეთვე აღნიშნულის თანმდევი გაუგებრობების წარმოჩენა და აქედან გამომდინარე, ერთიანი განსაზღვრის მიზანშეწონილობის დასაბუთება.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში შესწავლილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების მოქმედი სტატუსი, ზომითი კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმები და მიდგომები. პრობლემის წარმოსაჩენად გამოყენებულია ურთიერთშედარების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: კვლევის შედეგად, აშკარაა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების მოქმედი ზომითი კატეგორიების შინაარსითაც და დანიშნულებით განსხვავებულია. მათი შეფასებით წარმოჩინდა ერთიანი მოდგომის შემოღების მიზანშეწონილობა.

დასკვნა: კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ საჭიროა საწარმოთა კატეგორიებად დაყოფა ყველა მიზნისა თუ შემთხვევისთვის ერთიან, უნივერსალურ მიდგომას დაექვემდებაროს და მას უნდა მიეცეს გამოყენების ერთიანი დანიშნულება. ეს უთუოდ გაზრდის საწარმოთა მცირე ან საშუალო ბიზნესად აღიარების ზღვარს, უფრო მეტი საწარმო მიიღებს მცირე ბიზნესის სტატუსს, შეღავათებით ისარგებლებენ ბიზნესის დაწყებით ან გაფართოებით დაინტერესებული პირები და შესაბამის ასახვას მიიღებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაც.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი; საწარმოთა ზომითი კატეგორიები; მცირე ან საშუალო საწარმოდ აღიარების კრიტერიუმები.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ფუტუროლოგები ირწმუნებოდნენ, რომ მცირე და საშუალო საწარმოების ეპოქა იწურებოდა და მსხვილი კორპორაციული სუბიექტებისთვის წინასწარ-მეტყველებდნენ მომავალს, თუმცა მათი პროგნოზი არ გამართლდა [1]. მცირე და საშუალო ბიზნესმა საბოლოოდ, როგორც მუდმივად განვითარებადმა, შედარებით დამოუკიდებელმა და მოქნილმა სექტორმა, უპირატესად, მომსახურების, ასევე, არასერიული თუ ინდივიდუალიზებული წარმოების დარგებში დომინირებული მდგომარეობა დაიმკვიდრა.

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ხელისუფლებების დამოკიდებულებაც რადიკალურად შეიცვალა. ისინი აცნობიერებენ, რომ ამ სექტორის წინსვლა და ხელშეწყობა არის საზოგადოებრივი კვლავწარმოებისთვის აუცილებელი, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის საფუძველი.

ევოლუციის ხანგრძლივი ისტორიისა და მრავალრიცხოვან დაინტერესებულ ავტორთა ძალისხმევის მიუხედავად, მცირე და საშუალო ბიზნესის ერთიანი დეფინიცია ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. ბიზნესის ამ სექტორის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო აქტსა თუ მკვლევართა ნაშრომებში განსხვავებული მოსაზრებები ვითარდებოდა. თეორიულ კვლევებში, უმთავრესად, მცირე და საშუალო ბიზნესის ნიშნების, ფუნქციების, ეკონომიკის განვითარებაზე ზეგავლენის, საშუალო ფენის ფორმირების, დასაქმების შესაძლებლობების, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის, აგრეთვე სხვა მახასიათებლების

დადებითი თუ უარყოფითი მხარეების გამოვლენაზე, შეფასებასა და სრულყოფაზე კეთდება ძირითადი აქცენტები. თუმცა მათ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ან აზრის განვითარების მოტივაცია აქვთ. პრაქტიკული და სავალდებულო გამოყენების მიზნებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრელი კრიტერიუმები საკანონმდებლო აქტებში უნდა აისახოს.

მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობაზე, მის კეთილმოყოფელ ნიშან-თვისებებზე და განვითარების გარდაუვალობაზე შესაძლებელია ბევრი არგუმენტის მოხმობა, უპირატესობის წარმოჩენა, ეკონომიკური რყევებისადმი მედეგი შესაძლებლობების ილუსტრირება. მაგრამ სავსებით ლოგიკურია, რომ ასეთი თეორიული წიაღსვლები, საბოლოოდ, პრაგმატულ გადაწყვეტილებებს უნდა მოემსახუროს. უნდა შევნიშნოთ, რომ თეორიული კვლევების შედეგები მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის განსაზღვრისას საკანონმდებლო აქტებში ადექვატურად არ არის ასახული. სტატუსის განსაზღვრას კი ბიზნესის ამ სექტორისთვის ხელშეწყობის, შეღავათებისა და უპირატესობის მინიჭების მოტივაციის დანიშნულება გააჩნია.

განსაკუთრებული მნიშვნელობისა და პოზიტიურ ნიშან-თვისებათა გამო, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად მოიაზრება მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ იქ, სადაც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერაა, მცირე საწარმოები (ფირმები) უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ბიზნესის, მამასადამე, ეკონომიკის განვითარებაში, რაზეც მოწმობს ისრაელის, ჩილეს, ფინეთის და სხვა ქვეყნების გამოცდილება. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რადგანაც ქვეყანა ამ სფეროში ჯერ კიდევ რთული, მრავალწახნაგა პრობლემების წინაშე დგას. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის ერთიანი, უნივერსალური, ამასთან, რეალობის ამსახველი განსაზღვრა არსებობდეს. ფაქტობრივად კი მცირე და საშუალო ბიზნესის მოქმედი სტატუსის არეალი, სხვადასხვა მიზნებისთვის განსხვავებულია.

გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, მცირე ან საშუალო საწარმოდ აღიარებისთვის გამოიყენება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, მათ შორის, ყველაზე ხშირად ხმარებაშია აქტივების ღირებულება, ბრუნვის მოცულობა, დასაქმებულთა რიცხვი, ცალკეულ შემთხვევაში კი, საწესდებო კაპიტალის სიდიდეც. აღნიშნული მაჩვენებლების ეს კომბინაცია სწორად (თითქმის სწორად) განსაზღვრავს საწარმოს ზომით კატეგორიას და ამ საკითხზე ექსპერტთა შეხედულებებიც ერთმანეთთან თანხვედრაშია. განსხვავებული მოსაზრებები და უთანხმოება ამ მაჩვენებლების რაოდენობრივ (მოცულობით) მხარეს უკავშირდება.

გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ყოველი სახელმწიფო საკუთარი ინტერესების, განვითარების დონის, შესაძლებლობების თუ პრობლემების გადაწყვეტისადმი დამოკიდებულების მიხედვით განსაზღვრავს მცირე ან საშუალო საწარმოდ აღიარებისთვის საჭირო მაჩვენებლების რაოდენობრივ (მოცულობით) პარამეტრებს. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა სხვადასხვა ქვეყნაში მოქმედი საწარმოთა ზომითი კატეგორიის განსაზღვრელი მაჩვენებლები.

მაგალითად, აშშ-ში მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები ხუთ ჯგუფად იყოფა: აქედან, დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვით, **უმცირესია** საწარმო, რომელშიც დასაქმებულია 1-დან 24 მუშაკი; **მცირე** - 25-დან 100-მდე; გარდამავალი - 100-დან 500-მდე; **მსხვილი** 500-დან 1000 მდე და **უმსხვილესი** - 1000 და მეტი მუშაკი. საბითუმო სავაჭრო საწარმოს მცირე ბიზნესს მაშინ აკუთვნებენ, თუ მისი წლიური ბრუნვა 3-18 მლნ აშშ-ის დოლარს შეადგენს. საცალო სავაჭრო საწარმოსათვის კი ეს მაჩვენებელი 1-5 მლნ აშშ-ის დოლარით განისაზღვრება [2, 18-19].

საფრანგეთში **უმცირეს** ფირმებად ითვლება საწარმოები, სადაც 10 კაცზე ნაკლები მუშაობს; საწარმოები, სადაც 10-დან 49 კაცამდეა დასაქმებული, **მცირე** ფირმებს მიეკუთვნება, 50-დან 500-მდე დასაქმებულით – **საშუალოს**, 500 კაცზე მეტი მომუშავეთ – **მსხვილ ფირმებს**. იტალიაში საწარმოებს, სადაც მუშაკთა რიცხოვნობა 1-დან 19-მდე კაცს შეადგენს, **უმცირეს** ფირმებს მიაკუთვნებენ, 20-დან 100-მდე დასაქმებულებით კი – **მცირეს**. დიდ ბრიტანეთში **მცირე** ფირმებად ითვლება საწარმოები, სადაც 1-დან 50-მდე კაცი მუშაობს, **საშუალოს** - 100-დან 499-მდე დასაქმებულით [3, 8]. იაპონიაში **მცირედ** ითვლება საწარმო არაუმეტეს 50 დასაქმებულისა – მომსახურების სფეროში და არაუმეტეს 200 დასაქმებულისა სხვა დანარჩენ სფეროებში [4. 210].

საწარმოთა ზომით კატეგორიებად დაყოფის საკითხებში ევროკავშირს განსხვავებული მიდგომა გააჩნია. 2005 წლის 1 იანვრიდან ევრო კომისიამ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა ახალი პარამეტრები ამოქმედდა. აქ ზომით კატეგორიებად დაყოფა ხდება აქტივების ღირებულების (ბალანსის ჯამი), წლიური ბრუნვის და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით. კერძოდ, *საშუალოა* საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა ზღვარი 50-249 ადამიანს შეადგენს; ბრუნვა – 50 მლნ ევრომდე წლიწადში; ბალანსის ჯამი – 43 მლნ ევრომდე. **მცირეა** საწარმო, რომელშიც დასაქმებულია 10-49 ადამიანი; ბრუნვა – 10 მლნ ევრომდე წელიწადში; ბალანსის ჯამი – 10 მლნ ევრომდე. მიკროსაწარმო: დასაქმებულთა რიცხვი – 10 კაცამდე; ბრუნვა – 2 მლნ ევრომდე წელიწადში; ბალანსის ჯამი – 2 მლნ ევრომდე [6].

საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს, კერძოდ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას ამ საწარმოებში დასაქმების ასეთი პარამეტრები აქვს: საწარმო 19 კაცამდე დასაქმებულით ითვლება ძალიან პატარად, 99 კაცამდე – მცირედ, 100-დან 499-მდე

საშუალოდ, 500-ზე მეტი დასაქმებულით – მსხვილად [7, 57].

საქართველოში დღეს მცირე და საშუალო საწარმოს სამი სახის და დანიშნულების განმარტება არსებობს. მათ შორის, ერთი ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას. ამ განმარტების თანახმად, „საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულია რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს“ [8, 12]. ეს განმარტება გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით, აგრეთვე, 2016 წლის 26 თებერვალს საქართველოს მთავრობის N100 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“ შესაბამისად ხელშესაწყობ დასამიზნე ობიექტების არეალის დასადგენად.

მეორე განმარტება განსაზღვრავს მცირე ბიზნესის განსხვავებულ კრიტერიუმებს და აგრეთვე, განმარტავს მიკრო ბიზნესის კრიტერიუმებს. აღნიშნული განმარტებები გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის და შემოღებულია მცირე და მიკრო ბიზნესისთვის სპეციალური (პრეფერენციული) დაბეგვრის რეჟიმის და საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს. ხოლო, მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს [8, 12-13].

მესამე განმარტება მოცემულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც უმთავრესად იზიარებს ევროკავშირის საწარმოთა ზომით კატეგორიებად დაყოფის პრაქტიკას.

აღნიშნული კანონის თანახმად, საწარმოთა ზომით კატეგორიების განმსაზღვრელ შემოსავლებისა და დასაქმებულთა საშუალო რაოდენობის კრიტერიუმებს დაემატა კიდევ ერთი - აქტივების ჯამური ღირებულება. ახლა უკვე მეორე კატეგორიის ანუ საშუალოს მიეკუთვნება საწარმო, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ზემოთაღნიშნული სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს, შემოსავალი 100 მილიონ ლარს და საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება; მესამე კატეგორიის ანუ მცირეა საწარმო – სუბიექტი, რომლის აქტივების ჯამური ღირებულება 1

მილიონ ლარს, შემოსავალი 2 მილიონ ლარს, ხოლო საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება [9], რაც აშკარად არაშესაძარია ოფიციალური სტატისტიკის მომზადების და არც საგადასახადო მიზნით მოქმედ განმარტებასთან. ჯერ-ჯერობით მას მხოლოდ ის დანიშნულება აქვს, რომ სუბიექტმა განსაზღვოს ანგარიშგების შესადგენად ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების რომელი სტანდარტი გამოიყენოს.

როგორც ჩანს, სამივე განმარტება შინაარსითაც და დანიშნულებით განსხვავებულია. აქედან, პირველი-ორის მაჩვენებელთა რაოდენობრივი პარამეტრები ფასების არსებული დონის, აგრეთვე მიმდინარე ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით ძლიერ მცირე და უმნიშვნელოა.

სავსებით ცხადია, რომ ასეთი ვითარება გაუგებრობას იწვევს.

ასოცირების შეთანხმების შესაბამისად ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის აღებული კურსის პირობებსა და ინტეგრაციის მიმდინარე პროცესში, ვფიქრობთ, საჭიროა საწარმოთა კატეგორიებად დაყოფა **ყველა მიზნისა თუ შემთხვევისთვის ერთიან, უნივერსალურ მიდგომას დაექვემდებაროს და მას უნდა მიეცეს გამოყენების ერთიანი დანიშნულება.**

ეს უთუოდ გაზრდის საწარმოთა მცირე ან საშუალო ბიზნესად აღიარების ზღვარს, უფრო მეტი საწარმო მიიღებს მცირე ბიზნესის სტატუსს, შეღავათებით ისარგებლებენ ბიზნესის დაწყებით ან გაფართოებით დაინტერესებული პირები და შესაბამის ასახვას მიიღებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Юрген Бусек, Малые и средние предприятия: политика и управление, http://vasilievaa.narod.ru/11_2_02.htm;
2. Верилидзе В., Государственное регулирование малого и среднего предпринимательство в условиях рыночных преобразований, Батуми, изд-во "Батумский университет", 1998, გვ. 8;
3. Кокурин Д., Иновационная деятельность, М., Экзамен, 2001, გვ. 210;
4. გველესიანი რ., მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბ., 1999, გვ. 9;
5. European Commission, Community Research and Development Information Service – www.cordis.europa.eu/fp7/;
6. გობეჯიშვილი ე., საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები, თბ., 2013, გვ. 57.
7. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf;
8. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, ქუთაისი, 8 ივნისი 2016 წ. N5386-III;
9. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის (ქართული თარგმანი).